საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-69. 69241833**
თარიღი:**01/07/2024**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

განხილული იქნა რა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადმოგზავნილი 2024 წელს დამტკიცებული 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე -2 პუნქტისა და 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას შეისწავლოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული **მ**უნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შესახებ ასახული ნაკლოვანებები და შესაძლებლობის შემთხვევაში მათ აღმოსაფხვრელად გაატაროს სათანადო ღონისძიებები, ხოლო მომავალში ანგარიშში მითითებული გარემოებებისა და ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა და აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

მუხლი 2. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი